



# იური



№ 33 (102) 22 სექტემბერი 2009

სახალხო

“სამეგრელოს” მუზეუმი

50 000 000



## სოსუმის დაცვის 16 წლითავი 2



8

## ლავრაცი 4 ბარი — ერთობლი განია



ბაზეთი “ილორი”  
უძღვება რუბრიკას  
“მსოფლიოს საშპერლო  
უხებურთელები”  
ბაზეთი “ილორი”  
უძღვება რუბრიკას  
“მსოფლიოს საშპერლო  
უხებურთელები”

**მარაზონა 12**



10  
კაცობრიობის  
ისცორია  
კოლეგიო  
იცყარა


კლიმენტი შელია

## ახალი საარჩევნო გლობი! 3



ამის  
დაბარგის.  
ან  
დავითყაბას  
უფლება  
არც რუსა  
აქვს და არც  
ეართველს! 6

ნაშენები გველინგონ  
ჭიგნიდან “კავკასია”



9

დღეს ერთორმეობა  
ის, რის გამოც  
რუსეთ-საკართველოს  
ურთიერთობას  
მეტ-ნაკლებად  
სახელმიწოდებელი  
შეიძლება ეცოდოს!

5









Տաս დაპարզվոს, յե დავიწყებոს უფლებա  
յուն რეսսա յէշ და յուն հարստացնի!

(ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს  
წიგნიდან "პავპასია")



1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ კელიქეოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „აკადემიის“ წიგნად გამოცემამ ძალაში ააფორიასა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომებმა დიდგვარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზამარტული თანხა – ხუთი მილიონი ფუტები სტერლინგი (დღევანდველი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი ლოდარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოედოთ და გაენაბდგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, კრისტენეს გახდა.

თუ კაზაკობა საუკუნეთა განმა-  
ვლობაში ასრულებდა და, ფრიად  
არახელსაყრელ პირობებში, ახლაც  
ასრულებს რუსეთის სახალხო-  
საბრძოლო ამოცანას, მაშინ კავკა-  
სის არმია დირსებით ასრულებს  
რუსულ საქმეს სამხედრო-კულტუ-  
რულ სფეროში. მისი მნიშვნელობა  
ძალზე დიდია მშვიდობის პე-  
რიოდშიც კა, ერთის მხრივ, მიტომ,  
რომ მისი გმირული დიდებისა და  
ძლიერების წინაშე შეში მექანიზ-  
არსებობს მხარეში, მეორეს მხრივ  
კი, ჩვენი კავკასიელი მეომრები  
წარმოადგენენ უაღღესად საიმედო,  
მაღალსულიერ და ყოველმხრივ  
დამშვენებულ ადამიანებს. რუსული  
სახელგანთქმული პოლკების მიერ  
გამართულმა საუკუნოებნმა სამკა-  
დრო-სახიცოცხლო ომებმა დატოვა  
იმდენად გმირული სახელი და შე-  
სანიშნავი ტრადიციები, რომ მისი  
ავტორიტეტის შერევა არ ძალუდო  
არც პროტექციით დანიშნულ  
შემთხვევით სამხედრო უფროსობას,  
არც რუსული საქმისადმი გულ-  
გრილი დამოკიდებულების მქონე  
ადამიანებს და არც მტრულად  
განწყობილ აღგილობრივ მოსახ-  
ლეობას.

არა პოლიციელებმა, არამედ უია-  
რადო თადარიგის მოსამსახურებმა. მათ გააჩნიათ ეგრეთულებული  
ორგანული პატროიტიშიმი, რომელიც  
კლინიცება შეგნებით ფორმებში.  
მაგალითად, ჯარისკაცუნა ყო-  
ვლოვის გამოყენობაგება გასაჭირ-  
ში ჩავარდნილ ქალს და ყოველ  
ბავშვს, რა ეროვნებისაც არ უნდა  
იყოს იგი.

ერთხელ ასეთი სცენის მოწმე  
გავხდი: ერთი მოძალადე სომეხი.  
რომელიც ულტრა-მოდურ კოს-  
ტიუში იყო გამოწყობილი, ხალხმ-  
რავალ აღგილებულ რუს ქალბატონს  
გადაკეთდა, რომელიც დანერგდი  
ჩანდა და ტირილს აღარაფერი  
უკლიდა. ამ დროს, მის დასახმარე-  
ბლად, მოვიდა უბრალო ადამიანი.  
რომელსაც მანერაზე ეტყობოდა.  
რომ თადარიგში გასული ჯარის-  
კაცი იყო, მას მოძალადე სომეხი  
ტროტუარიდან ჩამოაგდო და დაუჭ-  
ვირა:

— შე სომეხო ხალახანავ, რატომ  
აწუხებ ამ ქალბატონს!

წამიერად, თითქოს მიწიდან  
ამოგვრენო, მას რამდენიმე სომეხი  
პატრიოტი გადაეჭოდა და მუქარის  
აღსავსე ხმით ერთდღოულად შეს-

ჩევნი მეომრები მართლმადიდებლობის აქტუარი ქომაგებიც არიან; მაგალითად, რაც შეეხება ახალცი-  
რაცხოვგას!

ხის მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხს, როცა სომქემა პოლიტიკანებმა მთავრობისაგან ეკლესიისათვის გამოყოფილ აღგიზზე როტონდა და სამიკიტო გახსნებს, თენისის პოლკებმა მაშინ გულმ-სურვალედ დაჭირეს მხარი მართლმადიდებლებს.

დიმა: ნაციის შეურაცხყოფას... მაშინ სად არის ოქვენი დროშა?

ამ უბრალო ადამიანმა, რომელსაც გავლილი ჰქონდა დირსებისა და ჯანსაღი შემცნების სამსეფლ სკოლა, გამოავლინა უფრო დიდი შეგნება, ვიძრე, შეიძლება, ბევრმა შერნალისტმა და პუბლიცისტმა.

აქურთა ცხოველება დიდ ქალა-  
ქებში, ხელს არ უწყობს დისცი-  
პლინისა და ზნეობრიობის ღონის  
შენარჩუნებას ჯარში. ნაცვარცი-  
კოლიზაციით შერეფეული აღმოსა-  
კლეთი, რომელიც იწოვს ცუდ  
ოვისებებს, იხრწება და ხდება  
სოციალური დაგავადების ქრძა. კავ-  
ასიელი ჯარისკაცი, თუ იგი  
ფრონტზე არ იმყოფება, ზოგჯერ,  
უდიარდელობის მაგალითის მიმცე-  
მიც კი ხდება. მაგრამ, საქმარისია,  
რომ მას რაიმე შეასხენოს მაღა-  
ლი სამხედრო მოვალეობა, რომ იგი  
წამსვე გმირად და პატრიოტად იქ-  
ცავა ხოდმე.

რამდენიმე წლის წინათ ტფო-  
ლისში ასეთ შემთხვევას პქნდა  
ადგილი: რუსი ოფიცერი ქუჩაში გა-  
მოისარჩდა უცნობ გოგონას, რო-  
მელსაც, დღისთვის მზისთვის გასაქანს  
არ აძლევდა ორი არამზადა, კითომ  
ინტელიგენტი სომეხი. რამდენიმე  
წამში ოფიცერს გარს შემოვრტყა  
კეება პრბო, რომელიც მზად იქო  
გადაეგდო იგი ვორონცოვის ხილი-  
დან მტკარში. ამ დროს მას გა-  
მოქმედა შემთხვევით ჩაგლილი  
ჯარისკაცი, რომელმაც ხიშბზე წა-  
მოგდის მუქარით დააფრთხო ბრძო-  
ლა ისხნა მოვალეობის საცოცხლის  
რობებს სხადიოდნენ და თავზარს  
სცემდნენ მტერს. ისინი ამჟამა-  
ნებდნენ დისციპლინისადმი მორ-  
ჩიდების გასაოცარ უნარს. საკმა-  
რისია მაგალითად მოვიყვანო პოს-  
ტზე მდგომი ჯარისკაცის საქციე-  
ლი, რომელმაც სადარაჯო კოშკუ-  
რი არ მაიტოვდა ბათუმში მდებარე  
ერთ-ერთი ობიექტის აფთიქებისას.  
დაღუპვის საფრთხის მიუხედავად  
იგი პოსტზე დარჩა, რადგან მისი  
შემცვლელის სიცოცხლე ამ აფეთ-  
ქებაზ შეიწირა. იგი, წელების თა-  
ნახმად, პოსტიდან წავიდა მას შემ-  
დეგ, როცა ხელმწიფის განკარგუ-  
ლება მიიღო.

## საოცარი სანახავები იყვნენ

ვერასგზით ვერ ახერხებს სომები  
და მოსომბო პოლიტიკანებისადმი  
ზიზღის გრძნობის დაფარვას.

“მეშინია განვაცხადო ხმამაღლა,

რომ მშვიდობა ომს გერ შექ-  
ნაცვლება...”

ქვეყანა, ოომელიც უერთდება  
სხვა სახელმწიფო კოსტა, მოსახლეობის

ადგილები კავკასიაში ბევრია,  
განსაკუთრებით, თუ გაყითვალის-  
წინებთ მაღალმოსავლიან სტეპებს  
და დაბლობებს, ტყებში შეკრილ  
სახნაც-სათვესებს, მთებზე შეფეხილ  
სავარგულებებს, მაგალითად, სამეგრე-  
ლოში, და ბალკანებს, რომლითაც  
სახლგანთქმულია მოკლი საქართ-  
ველო. მშენდობის განმტკიცებით,  
მიწათმოქმედების განვითარებითა  
და მომთაბარეულის აღმოფხვრის  
შედეგად დადგინდა, რომ თურქეთი კავ-  
კასიაში საკმოლ ბევრი მიწაა. რუ-  
სელი სახალხო მასა ძალიან შორს  
იყო, თურქეთის და საარქეოთან გა-  
დატანილი ყოველი ომი კი მთავრ-  
დებოდა იმით, რომ დამატებით “სა-

რევა”, თუმცა, ყირიმის ომის შემდგა, სომხები ენერგიულად დაფაცურდნენ. განკუნძული, არასახელმწიფო უფლებითი, მაგრამ ბუნებრივისტორიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, მართალიც იქნებოდა, რომ არაშემოსავლიანი მიწები დაგვესახელებინა ადამიანებით, რომლებიც ადგილობრივ პირობებს ბუნებრივად არიან შევუებული.

მიწაზე მოთხოვნის გაზრდისა  
და ფასის აწევის კვალდაპვალ,  
ასევე ადგილობრივ მოსახლეობაში  
ანტირუსული მოძრაობის წარ-  
მოქმნასთან ერთად განვითარდა და  
დიდი გავლენა მოიპოვა თებაზ-  
საზრისში, რომ თითქოს ქავებისა  
თავისი კლიმატური და ნიადაგო-  
ბრივი მონაცემებით საგებით გა-  
მოუსადგეარია რუსი ხალხისათვის.  
პოლო დროს, როცა რუსების კავ-  
კასიაში მოძალებამ „საშიში“ სახე  
მიიღო, გადამთიელებმა და მათმა  
რუსმა მოსამსახურებმა ოდნი შეუ-  
ლი შეხედულების განმტკიცება  
დაიწყეს რუსი ჩამოსულებისადმი  
არადამიანური ქქსაკრიმენტებით.  
მაგრამ, მის თაობაზე დაწვრილებით  
ქვემოთ მოგითხოვთ.

ისე, ამიერკავკასიის სახნაფ-სა-

ხები, ბერძნებით და სხვა ნაყარ-ნუ-  
კარი ხალხით, რუსებს კი, რომლებ-  
იც კავკასიაში მიწების ძებნას იწ-  
ყებდნენ, რჩებოდათ მხოლოდ სხვა-  
შისაგან დაწუნებული ადგილები.

მეორე კატეგორიის ადგილები  
რუსელი კოლონიზაციისათვის წი-  
ნაღმისას კერ წარმოადგენენ, მაგრამ  
ისინი ხაკლებად სასიკეთოა არიან  
რუსელი ჯიშისათვის, განსაკუ-  
თრებით ხერგული სისტემისათვის  
და სულიერი განვითარების თვალ-  
საზრისით. რუსები ადგილინანა აქ არ  
უნდა იცხოვოს ადგილობრივი პი-  
რობების კარისნობაზე, განცალევებუ-  
ლობით, შესაბამისი ირგვიზაციი-  
სა და უსაფრთხოების ფიზიკური

და სულიერი ზომების გარეშე  
ასეთ ადგილებს ეკუთვნის, მა-  
გალითად, ტფილისი და მისი შე-  
მოგარენი, გორის, დუშეთის და, ნა-  
წილობრივ, ახალციხის მაზრები,  
ქუთაისისა და ბაქოს გუბერნიის  
ნაწილები, კი. ზღვის დონიდან  
ისეთი სიმაღლის ადგილები, სა-  
დაც მაღარია თუ მძვინვარე  
ვეფხვი არ არის, დიდი ზომის კა-  
ტის გაბარიტები მაინც აქვს, სა-  
დაც დაინის სიჭარბე იწვევს მის  
ყოველდღიურ ზედმეტ მოხმარე-  
ბას.

გაგრძელება იქნება



„რაც სულია სხეულისთვის, ებ-  
ლესია ისაა ერისათვის.

ოოცა სული სხეულს მომდება,  
სხეული კვდება.

ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე“.

საქართველოს კათალიკოს-პატიმინი ი. მარიამ გორგაძე

## ତରୀକରଣ ପଲ୍ଲୀ II

კუთხედის

მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს  
საქართველოს კელების ისტორი-  
აში. იგი დაარსა აფხაზეთის  
(გერისის) კულტურული გიორგი II-მ 922-  
957 წლებში. ჭირნდილის საკაპეკო-  
პოსო ქართული კულტურის გრო-  
ერთ უმნიშვნელოვანებას კრის წარ-

მოადგენდა. XII საუკუნის ჭყონ-  
დიდის საეპისკოპოსოს თანამდევ-  
ბობას მწიგნიბართულუცესობა შევ-  
თავსა და კიდევ ორი ეპარქია  
დაექვემდებარა: ბერიის (აფხაზეთი)  
და აღავრდისა (კახეთში). XII-XIII  
საუკუნეებში. ჭყონდიდელი  
ქართლის კათალიკოსიც ხდებოდა  
(მიქაელ ჭყონდიდელი და კათა-  
ლიკოსი, არქეს ჭყონდიდელი და  
კათალიკოსი). ჭყონდიდელი, რო-  
გორც ეკლესიის მეთაური, აქტიურ  
როლს ასრულებდა სამეგრელოს  
სამთავროსა და დასავლეთ  
საქართველოს პოლიტიკურ ცე-  
ნოვრებაში, ხოლო XVII საუკუნიდან  
ჭყონდიდელებად არჩევა სამეგრე-  
ლოს მთავრების დადიანების  
გვარის წარმომადგენლებიდან ხდე-  
ბოდა.

ჭყონდიდის ეპარქიის საეპისკო-  
პოსო კათედრას და დასაცლეთ  
საქართველოს საგანმანათლებლო  
ცენტრს მარტვილის ტაძარი წარ-  
მოადგინდა. მარტვილის ჯვარუმ-  
ბათოვანი ტაძარი აგებული იქნა  
VII საუკუნეში მარტვილელთა  
(წამებულთა) სახელზე, ის, რომ VII  
საუკუნეში დასაცლეთ  
საქართველოში მცხოვის ჯვრის  
ტიპის საეკლესიო ნაგებობა აშენ-  
და, ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი  
იყო.

ქამბ. ჭერი კულტურულ საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. X საუკუნეში გორგი II მეფის დროს მოქმედებდა პიმნოგრავიული სკოლა, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე მიხნეთი და სტეფანე სანანოძე. ცხობილია სტეფანე სანანოძის ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. შემთხვევათი არ იყო ისიც, რომ XI საუკუნის შემდეგში საქართველოს მეცნიერება გარდატმა საქართველოში ჩამოსულ, მაშინდელ მართლმადიდებელ სამყაროში სახელმოხვევლი საკალისო

მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს სამღვაწეოდ სწორედ ჰქონილის მონაბეჭერი შესთავაზა. აღსანიშნავი იხილობ ბაგრატ IV-ის დროს ჰყონილის ეკლესია საქართველოს მეფეთა სახალილებით და თვით ბაგრატ IV აქ იქნა დაკრძალული.

ცალქე ყურადღების დირსია  
წმინდა გორგო ჭეთნიდებელი,,გაცი  
სრული ყოვლითა სიეკითა  
სულისა და ხორცითასა... გან-  
მმრახი სვიანი და ფრთხილი,  
თანააღმრდილი აღმზრდები პა-  
ტრონისა და თანაგამქაფებელი  
ყოველთა გზათა, საქმეთა და  
დეწლეთა მისთა.“ – ასე ასახითქმის

# ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

დავით აღმაშენებლის ისტორიკების დიდ მწიგონბარ მოძღვარს, დავით უფლის წულის აღმზრდელად მოწვევდი გიორგი თავდაპირველად რიგით, მოკრძალებული მდგრადარების ბერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ როგორც კი დავითი ტახტზე ავიდა, მან თავის აღმზრდელი სახელმწიფო საქმეებში გვერდში ამოიყენა და იმ ურთულებ პოლიტიკურ ვთარებაში გიორგი მონაზონი ჭაბუკი მეფის „გზათა საქმეთა“ და „დგაჭლთა თანაგამგაუველი“, ხოლო შემდგომ გეზის მიმცემი და მთავარი მრჩეველი იყო. მაგრამ ამით არ დამთავრებულა გიორგი მონაზენის აღზევება, როცა დავით მეფე „საპაკო ქარი“ შექმნა, მის გამგებლად გიორგი მწიგონბართულუცესი დანიშნა. იგი მონაწილეობდა რუსულბინისის საეკლესიო კრებაში (1103 წელი), რომელიც დაგვირგვინდა უნიკალური მოვლენით. მწიგონბართულუცესისა და ჭყონდიდელი მთავარებისკროპისის სახელთა ერთი პირის ხელში გაერთიანებით. ამრიგად, საქართველოს ვაზიორული კრიკეტების გიორგი მწიგონბართულუცესი ამავ დროს გახდა ჭყონდიდელი – „უწარჩინებულების“ საქართველოს კიოსკოპისთა შორის. იგი ატერიალ მონაწილეობდა ჭყანის მართვა-გამგებიანში. მისი მცდელობით და მოდგაწევით სამეცნის შემოუერთეს სამშილდე (1110 წელი) და რუსთავი (1115 წელი) რაც შექება გიორგი ჭყონდიდელის წარმომავლობის საკითხს, ჰემარიტებას უნდა შექსაბამებოდეს აკადემიის გივი ელიაგას ვარაუდი იმის შესახებ, რომ სიცოცხლის გარკვეული ნაწილი, კერძოდ, ბავშვობისა და ყრმობის წლები, გიორგი ჭყონდიდელმა სწორედ ჭყინდიდმ გაატარა. მადლიურმა შთამიმავლობამ დირსევულად შემონახა ამ დიდებული წინაპრის სახელი და 2005 წელს, საქართველოს საპარტიარქოს სინოდის გადაწყვეტილებით გიორგი ჭყინდიდელი წმინდანად შეირაცხა. ეს მოვლენა შეტად სასიხარულოა სრულიად საქართველოსთვის. მის მიმანიშნებელია მარტვილში გიორგი ჭყონდიდელის ძეგლის აღმართვა და „ჭყონდიდების“, ჰემარიტებად საერთო-ეროვნული დღესასწაულის დაწესება, რომლის სათავეებით იდგა, დაუცხოვომელი მაშტალიშვილი, ბაზონი გივი ელიაუდება.

საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანა“ წოდებულ თამარის პატაში მარტვილის მონასტერი კიდევ უფრო გაძლიერდა. აქ იყო მწიგონბართულუცესი მიქაელ და ანტონ ჭყონდიდელების რეზიდენცია. XII ასუქნის მოწურულს მონასტერი ერისთავი შეგრილ დადანიანის საერთოსაოს პულტურული და სასედიერო ცენტრი იყო. საქართველოს პოლიტიკური და შლილობის ხანაში XV-XVIII საუკუნეებში ჭყინდიდელი ეპისკოპოსი აფხაზეთის კათალიკოსს ეჭვმდებარებოდა და სამეცნიეროს სამთავროსა და მთლიანად დასაცვლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოველებაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულდება. XVII საუკუნეში მარტვილის პატაში ეპისკოპოს-ჭყონდიდელი ყოფილი იერმების ჭილაძე, რომლის სამაცნელოა ტყვირის კლემისა.

როგორც დასასწაულში აღვინიშეო, XVII საუკუნიდან ჭყონდიდელებად არჩევა სამეცნიელოს მთავრების, დადიანების გვარის წარმომადგებლობიდან ხდებოდა. პარველი ჭყონდიდელი ხილოვანი იყო კაცია I-ის მშენებელ I, შეჩერებ გვემონ დოლობერიძე. სხვა ჭყონდიდელები კვალანი დადიანი-ხილოვანი იუნენი; გიორგი, გაბრიელ I, შეჩერებ გვემონ დოლობერიძე. სხვა ჭყონდიდელები კვალანი დადიანი-ხილოვანი იუნენი; გიორგი, გაბრიელ II, ბერენ, გაბრიელ III, გრიგოლ და ბესარიონ. გავლენი და ძლიერი კათედრა ორგულ კაცს რომ არ ჩაგრდნოდა, თბია დადიანმა თავისი შვილი

განადგურება (გ. ელიავა).

აი, რას წერს ამ ამაზრზენ  
ფაქტოთან დაკავშირებით პროფ.  
სერგი მაკალათია. — „ახლა არაბ-  
თა სარდალმა მურვან ყრუქ (735-738  
წ.წ.) განიზრახა თვით ეგრისში გაუ-  
ლაშქრნა. მურვანის ჯარი და-  
ბანაკდა ჰყონდიდის ან მარტევილის  
მიდამოში და აქედან მურვანმა  
გაილაშქრა და აიღო ციხე-გოვანი“  
(პროფ. ს. მაკალათია, „სამეცნიეროს  
ისტორია და ეთნოგრაფია“, 1943 წ.  
გვ. 67-68).

არანაკლები საფრთხე შექმნა  
მარტვილის ტაბარსა და ეკლესია-  
მონასტრებს, 1917 წლის რევ-  
ოლუციის შემდეგ ბევრი ეკლესია-  
მონასტრები, მათ შორის მარტვილის  
მონასტრებიც დაიხურა. სწორედ  
მონასტრის გუმბათის ულამაზესი  
ჯვარი გახდა რევოლუციონერების  
სამიზნე. ამ ზარს, რომელიც  
სამრეკლოზე იყო დაბრძანებული,  
ხალხი დედო-ზარს ექახდა, რომლის  
სხა ქუთაისამდევიც კი აღწევდა.  
როცა ჩამოაგდეს, თურმე სამრეკ-  
ლოს მარჯვნივ ჩაგროებულა, და  
შემდეგ იგი, დროთა განმავლობაში,  
მიწას დაუფარავს. მონასტრის სიმ-

დიდობრის დიდი ნაწილი ექვთიმებ თავისი შეცვლის წაუღია და თბილისის მუზეუმის ხაუბარებია. უნდა აღინიშვნოს დიაკონის – ნიკოლოზ ოსიძის საკლებით მოღვაწეობა. მან, რევოლუციის შემდგომ, გაიხადა სახულის სამოსებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას მისკონსტიუციის მიხედვით. სწორებ მისი დამსახურება, რომ მარტვილის მონასტერი გადარჩა სრულ განადგურებას. მან თავის თავზე აიღო ტაძრის მოვლა-პატრონობა. მისი თაოსნობით მარტვილის მონასტერი ჩასვეს მაშინდელი საკავშირო ტერიტორიის ტურიზმის მარშუტში და ყველა ჩამოსულ სტუმარს თვითონ უწევდა მეგზურობას.

ნიკოლოზ თხიძეს მედა  
ვანაძისათვის უთხოვია მარტვილში  
გაეცესნა მხარეთმცოდნების  
მუზეუმი. ვასილ მფავანაძე დათანხმდა  
და ამ საშვილიშვილო საქმეს  
საბოლოოდ ხორცი ჟეასხა „შპპ-  
დავი ჭყანდიდის მეცისოვნეუმ“, ჟეშ-  
მარიტმა მამულიშვილმა — გივი  
ელიავამ, რომლის სახელსაც  
ღირსეულდა ატარებს მარტვილის  
ეროვნული მუზეუმი. ასე, რომ  
მარტვილის ტაძარი და მხარეთმ-  
ცოდნების მუზეუმი არა მარტო  
მხარის, არამედ სრულიად  
საქართველოს მშვენებაა,  
რომელთაც უდიდესი როლი და  
მისია აკისრიათ როგორც  
სახელიერო, ასევე ერის კულტურ-  
ისა და მოზარდი თაობის  
ეროვნულ-პატრიოტული იდეიბით  
აღზრდის საქმეში.

სასულიერო მოღაწისა და  
დებანოზის მამა გორჩას უდიდესი  
როლი საელიაოს დედათა მონას-  
ტრის აღწერის საკითხთან  
დაკავშირებით.


„საელიათ“, აღნიშნავს დეკანოზი  
მათი გონა, სოფლის სახელწოდება. ამის შესახებ ორი ვერსია არსებობს. პირველი ვერსიით „საელია“-  
ო დაცავშირებულია ელია წინასწარმეტყველთან, რომლის სახ-  
ელობის ტაძარიც მდგარა გორაზე. გადმოცემის მიხედვით, ამ მთას „ნაოხვამ-ვერდის“ (სალოცავი მთა) უწოდებდნენ. მთაზე სასაფლაოც ყოფილა. ჩეგნოვის უცნობი მიზეზე-  
ბის გამო ტაძარიც და სასაფლაოც დაბლა სოფელში გადმოუტანიათ.  
მეორე ვერსიის მიხედვით, ამ მო-  
დამოს მფლობელი ყოფილან  
თავადები ან აზნაური ელიავები და სოფლის სახელწოდებაც თოთქოს  
აქედან წარმოსდგება. (იხილეთ

საელიათ დყვითა მონასტერი, ჭყონ-  
დიდის ეპარქიის გამოცემა, გვ. 3-4).

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში  
გადმოვციო იმ მოდგაწეთა ოლიდი,  
რომლებიც ჭყონდიდის ეპარქიას  
ემსახურებოდნენ. განუზომელია  
მათი დამსახურება საქართველოს  
ეკლესიის ისტორიაში.

### ლეილა დანელია

# სამართლო და საქანო



ა დ წიგნის აკტორის, ქორნელი  
ოროზდინის სამსახურებრივი ქართ-  
უა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ  
თავარმართებლის კანცელარიაში  
უშაობდა შეძლებ კი (1854 წელს)  
მაგრელოს დელოფალთან მიავლინეს  
იწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი  
ვილების აღმზრდებლად. 1858 წელს  
აინიშნა სენატის ოლქის უფროსად,  
დაც 1867 წლის დეკემბერის 1 სწორებ  
გაუცხო იგი სამურავლოს მოსახლეო  
ს კოფას, რომელიც საინტერესოდ აღ-  
ირჩო თავის წიგნში.  
ოროზდინის მოგონებებში საქმაოდ  
ცლად არის გადმოცემული ოს-  
ალეთის ჯარების მიერ სამეცნი-  
ელოს აწიო კება, რომელიც შემდეგ  
რესმა ჯარისკაცებმა ალაგმის.

# კორნელი ბოროვდინი

ხელმწიფე ბარიატინსკის ახალგაზრდობიდანვე იცნობდა, ახლა დაიახლოვა და დირსპერ თავისი გულითადის მეგობრობისა, სწორდა მისი ნიჭიერება და ოდეს თავისი ნაცვლად დააყენა კაგასიაში, შეკმოსა სრულის უფლებითა და დაამტკიცა ყველა მისნი წარდგენილებანი ამ მხარეში მართვა-გამტეობის ცელილებათ შესახებ.

ამ ახალის ცელილების თანახმად,  
კაგასია იყოფოდა რამდენიმე საგენერალ-  
საგუბერნატოროდ, და მათ შორის დაარს-  
და ქუთაისის საგენერალ-საგუბერნა-  
ტოროც, რომელშიაც შედიოდა ქუთაისის  
გუბერნია, სამეგრელო, სვანეთი და აფხ-  
აზეთი. ასეთ დიდ პოსტზე, როგორიც იყო  
პოსტი ქუთაისის გენერალ-გუბერნა-  
ტორისა, ბარიატინსკისათვის საჭირო  
იყო ისეთი კაცი, რომელშიაც შეერთებუ-  
ლი იქნებოდა მრავალი სხვადასხვა  
პირობები. თავის პირად დირსებათა გარ-  
და ამ კაცს მოეთხოვებოდა ცოდნა  
მხარისა და კაი გვარიშვილობაც, და ეს  
უკანასკნელი დირსება განხაუთორებით  
საჭირო იყო იმიტომ, რომ აფხაზეთისა,  
სვანეთისა და სამეგრელოს მთავრები  
თავადები იყვნენ და იმას უშეადლოდ უნდა  
დამორჩილებოდნენ. იმისთვის, რომ მაგათ  
თვალში ფასი პეტონდა, თვითონაც წმინ-  
და წყლის არისტორატი უნდა ყოფილ-  
იყო. ამ მოთხოვნილებათა დამაგრაფ-  
ოფილებლის პიროვნების პოვნა ადვილი  
საქმე კი არ გახდებათ. მაგრამ თავად  
ბარიატინსკის პეტერბურგში შემოხვევით  
შესვერდოდა თავადი ალექსანდრე ივანეს  
ძე გაგარინი და არჩევანიც მასა ხდომია.  
ბარიატინსკის ქუთაისისათვის უკეთეს  
გენერალ-გუბერნატორი არც კი უნდოდა.  
გაგარინს, აგრეთვე ძველად კაგასიაში  
ნამყოფს, ბარიატინსკი პირადად იცნობდა  
და მეგობარიც იყო მისი.

ახალგაზრდობაში ლამაზს, მდიდარს, იმ დროისათვის მშეგნივრად განათლებულს, თავად გაგარინს პატარა ხარისხებიანს კორონცოვს აღიუბანებოდა პქნდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს უკანასენელი ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორად იყო. და როცა კორონცოვმა კავკასიაში მეფისნაცვალის ადგილი მოიღო, გაგარინი ტფილისში გადმოჰყავა, თითქოს წევრი ყოფილი იყო მისი ოჯახისათვის. აქ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ექსპედიციებში და ყოველგან დიდ სიმამაცესა და თაოსნობას იხენდა, ხოლო როცა სამოქალაქო საქმეების შესრულებას აგადებდნენ, კავალაფერს ისე მოხერხებულად აკეთებდა, რომ კორონცოვმა ორმოციანი წლების დასახრულს დერბენტის ქალაქის უფროსად დანიშნა. ამ ხანებში იყო, რომ გაგარინმა ჯვარი დაიწერა თავად დავით ორბელიანის ასეულ ანასტაზიაზე, რომლის

Ճա՛մալցիոտ ճաշնատքեսազգա  
յարտցելցիօն մոյլու մածալ վ'ողցիօն  
(Յօրցել շրջած բացարոն է կյազմա  
դցածնունիք ձոջուոտաճ ցայթուու մարտ-  
ամ աճուրուա աւշուու, ծորութունուն իւլու, ամ  
վ'ոցնուն օչըռուու ծուսամցուու. ճշրծենք մու-  
ցաբարոն ճուժեսն առ ճարհինուու ճա-  
ցալմուոյցնու յշուասնու ցինուրալ-շշու-  
ներնաթորած. ամ աճցուունց ցաբարոն  
ռամցենսամյ վ'լուունց ճարհի յուրումուն  
ռուսն ճաշյենամց, ճա յե եան պաշտամց  
շայտքն եան ոյր մուս ևաամունութրացու  
աւակարչենց մոցցունց օնս.

არც თავისი ჭეკუით, აღარც თავისი  
შორს სმხევდებელბით გაგარინი არც  
დამოუყიდებელი და აღარც თრიგი-  
ნალური მოღვაწე იყო, მასზე ითქმოდა მხ-  
ოლოთ - მშვენიერი მოწაფეა ისეთის  
შესანიშნავის სახელმწიფო კაცისა და  
ადმინისტრატორისა, როგორიც იყო  
კორონცევიორ. ცდილობდა თავისი  
მასწავლებლის პრიგრამისათვის ერთის  
ძერითიც არ გადაეცვინა და თავის საგუ-  
თარის პიროვნებით ამშენებდა მის მიერ  
დაჭერილ პოსტს.

მეცნიერობა ცხოვრების შინაურ მხარეების  
და აქაც მისი ნიჭი საცხებით იყო ხოლმე  
გადაშლილი. ამ მხარეში წარმოების  
დარგი არ იყო ისეთი, რომლისათვის  
კორონცოვს თავისი გამჭრიახის თვალით  
არ შეეხება და სადაც თავის პირად მოჩა-  
აწილეობით არ აემოძრავებინა და არ  
წაეხალისებინა სასარგებლო საქმი-  
ანობისათვის აღგილობრივი მკვიდრნის  
მისის ხასიათის ასეთის თვისების წყალო-  
ბით დიდადი ნაცნობობა გაიზინა მკვიდროთა შორის, მერე პირდაპირ გასაო-  
ცარი იყო, როგორ იმახსოვრებდა ყველა  
სახესა და სახელს, და ეს ხომ საშინლად  
უწყობდა ხელს მისს ნაფოფიერს მოდ-  
გაწეობას. როცა მხარის დასავლელად  
დადიოდა, ყველაგან ისე პერმონდა თავების  
თითქო შინაურიათ: ყოველ ნაბიჯზე  
ხედებოდა კერძო პირადი ურთიერთობა  
აღგილობრივ მკვიდრებთან. ერთისათვის  
რიდაცის თესლი მიეცა, მეორესათვის

ნამყენი მიეცა ხილისა და კარგი ხილი  
რომ დაეკრიფნა, მასთან საჩვენებლად  
მიიქმნდა; მეორეგან სოფლელთ ახალი  
არხი გაექრათ მოწების მოსარწყავად და  
მოხუცი ვორონცოვიც ეტლიდან ჩამოდია  
ოდა, შინჯავდა მათ ნამუშევარს, თავის  
სენიშვნას აძლევდა, ხარობდა მათი  
ნაკეთებით; მესამე ალაგას კალია განვე  
ნილიყო და ისიც დარიგებას აძლევდა  
როგორ გაწვევიტნათ ყანის მტერი და  
მაშინათვე განკარგულებას გასცემდა  
ამის შესახებ; ხოლო კახეთის ერთ-  
სოფელში დღესაც დგას ერთი უშველუ  
ბელი კაცის ხე, რომელსაც ვორონცო  
ვის სახელს ეძხიან შემდეგის ამბის  
გამო. ხე მართლაც უზარმაზარი რაბ  
არის, ოთხი კაცი ძლივს შემოუწვევნე  
ს ხელებს, ხოლო ტოტების დამკეტრი ას  
ნაბიჯამდე იქნება. ქედიყოთ ხშირი და  
სქლათ გაშლილი ცოცხალ კარაგესა  
ჰგავს, რომლის ქვეშ სამას კაცზე მეტი  
დაეტევა თავისუფლად. ამ ხემ ძა  
ლაუნებურად მიიპრო ვორონცოვის ჭუ  
რადება, მხლებლებს მის ახლოს გაჩ  
ერება უბრძანა და მოისურვა ხის პატ  
ტრინის ნახევაც მოვიდა თვით პატრონ  
ის ათას კორტესის უსაძლებელობა

ରାଶିମ୍ବ ଶେଖଗ୍ରେଲ୍ଡ ମାତତଥୀରେ ମିଳିବାକାନ୍ଦା  
ଶେଖବାକେବଳ ମହେଲୋ ଫିଙ୍ଗିନ୍ଦା  
ଶେଖବାକେବଳ ମହେଲୋ ଫିଙ୍ଗିନ୍ଦା

ყველასათვის მისაწვდომი, მომაჯა-  
დოებდად სასიმოვნო ყველასთან,  
გაგარინი მართდა რომ შეკვარებულივ-  
ოთ ეკიდვებოდა თავის ბუნებით განსხვავ-  
იფრებელ მხარეს, რომელიც მასა ჰქონდა  
ჩაბარებული მოსავლელად, და მთელს  
თავისს ძალ-ღონეს მისს სამსახურს ან-  
დომებდა. მებაღეობა გაშმაგებით უყვარ-  
და და თავგამოდებითა სცდილობდა  
ადგილობრივ მკვიდრთათვინაც შეეჭ-  
ვარებინა: ქუთაისში გააშენა ბულვარი,  
საქალაქო ბაღი და ფერმა, რომლებიც  
დღემდე დარჩენილი არიან ცოცხალ ძე-  
გლებად, გაგარინის მოსაგონრად. გამოაწ-  
ერინა მეტად იშვიათი ხეები, მცენარეები,  
ყვავილები, რომელთაც აქურის მაღლიანი  
ჰავის წყალობით საუკეთოდ ისარეს. ფე-  
რამაში იპოვიდიოთ ფრანგულ, რენინის ოუ-  
იტალიურ ყველა საუკეთესო ჯიშის  
ყურძებს. ნერგებს სიამოვნებით ურიგებდა-  
ნენ ყველას, ვინც მოისურვებდა მათ  
გაშენებას თავისს მამულში. ამ ფერმის  
წყალობით, იზაბელლას (ადესა) ყურძენი,  
ყირიმიდან შემოტანილი, მთელ მხარეს  
გავრცელდა.

გაგარინის მართვა-გამგეობის დროს  
ქუთასში აშენებულ იქმნა საგუბერნიო  
გიმნაზია, სამხედრო გოსპიტალი, ორი  
ხიდი რომენე, დაიწყეს შენება საგუ-  
ბერნიო დაწესებულებათა. მანვე გააშენა  
აქ პირველი კლუბი და მასთანვე საზო-  
გადოებრივი საკრებულო, რომ ამით  
გაეცხოველებინა და შეერთებინა აქაუ-  
რი საზოგადოება. ყოველივე ეს ცველა  
სხვა ადმინისტრატორსაც შეეძლო  
გაეკეთებინა, და მართლაც კეთდებოდა  
კიდეცა, მხოლოდ გაგარინს ეს როგორ-  
დაც უფრო გამოუდიოდა ხელიდან, ემარ-  
ჯვებოდა მისის მეტისმეტად გულწრფე-  
ლი და სიმპატიური პიროვნების წყალო-  
ბით. ცველამ იცოდა, რომ გაგარინი  
საუცხოო გულის კაცი იყო, იცოდა, რომ  
იგი არ ინდომებდა და არც შეეძლო ვინ-  
მესთვის ეწყენინგბინა, ვისმე მისგან გულს  
დაკლებოდა. კაცი ვერ იტყოდა, რომ იგი  
გულგრილი ან მეტად თავდაჭერილი  
ყოფილიყო, სრულებითაც არა, გაგარინი  
იყო მეტად მოძრავი, ფიცხი და ზოგჯერ  
ცხარეც, იყვირგბდა ზოგჯერ საშინლად,  
დაიწყებდა დარბაზში სირბილს, გრძელი  
და ხურუჭი თმა აეჩეხბოდა და მაინც  
ვინც ასეთს უყურებდა, ცველამ იცოდა,  
რომ ამ კაცს არ შეეძლო ვისმესთვის  
რაიმე გნება მიყენებინა. ცოლი მისი მარ-  
ჯვნა ხელი იყო მისი. ტომით ქართველი,  
ქმარივით ცველას მიძღვიანი იყო. ცველა  
დაჩაგრულს და უპატრონოს  
მფარველობას უწევდა და ნუეგშა სცემ-  
და. უშეილონი იყვნენ, მაგრამ მეტად ტქ-  
ბილი და ბედნიერი ცოლ-ქმრობა პქონ-

ამიერკავკასიაში.  
დღო-და-დღო ქუთაისში თვითონ  
მეფისნაცვალი ვორონცოვი და მისი  
მეუღლებ ხამოღითდენენ. ვორონცოვი თანა-  
გრძნობით თვალყურს ადეგნებდა გენერ-  
ალ-გუბერნატორ გაგარინის მოქმედებას  
და გულმესურვაღლედ მხარს უჭერდა ო-  
გორც ზენობრივად, ისე მატერიალუ-  
რადაც; ხოლო ვორონცოვის მეუღლე,  
რომელმაც აქ თავისი ხარჯით წმინდა ნი-  
ნოს სახელობის პირველი საქალებო  
სასწავლებელი დააარსა, მისი წარმატე-  
ბისათვის დედობრივის მზრუნველობით  
ჰხრუნვადა.





